ბათი, 26 ქრისტეშობის.
№ 52 — 1915
ფასი 10 კ.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. უფრ.
„თეატრი და ცხოვრება"
წელიწადი მეოთხე.—(იხ. მე-2 გვ.)

ქართული საქველმოქმედო სხვადასხვა საზოგადოების

თავმჯდომარე მ. ვ. მაჩაბელი

მისი ამხანაგი
პ. ა. გოთუა

ხაზინადარი
ვ. რ. უიფიანი



მდივანი პავ. საუვარელიძე

ხარფუხის საზ. კლუბი

მიხეილის ქუჩ. № 131

ერთი კვირის პროგ 26—3 ქრისტ-თვე

შაბათს სიმფონიური ორკესტრი
კვირა მუსიკალური ს ღამო
ორშაბ. სინემატოგრაფი; საზანდარი
სამშაბ. ქა[illegible]თ. წარმოდგენა
ოთხშაბ. სი[illegible]ოგრ
ხუთშაბ. მუსიკალური საღამო
პარასკ. საზანდარი, სინემატოგ[illegible]ფი
შაბათი სიმფონიური ორკესტრი პრესმანის
კვირა მუსიკალური [illegible]ღამო

შესავალი ფასი: მამაკაცი—30 კ. ქალები [illegible]. სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზეა

სახალხო სასლი

ხუთშაბ. 31 ქრისტეშობისთვეს, 1915 წ.

მომღერალ გიორგი ილ. ჩუბინაშვილის მეთაურობით გაიმართება ქართული კონცერტი წარმოდგენით

I

ვარიზელი ბიჭი

კომედია 2 მოქ. თარ. ჯორჯაძისა.

II

ბავშვები ჭალაში:

დაწვრილებით პროგრამებში. დასაწ. 12 ს

რეჟ. ბეილარიძე.

ფოტოგრაფია ი. ა. სტურუასი

(ვოგზლის ქ. და ყვირილის ქ. № 13)

იღებს ეოველნაირი ზომის სურათებს ხელმისაწვდენ ფასებში, სუფთად და ხელოვნურად. შენაკვეთ საქმის ასრულებს დანიშნულ ვადაზე.

განათლება

სამეცნიერო-შედეგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალი (წელიწადი მეცხრე). ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულს ოჯახებსა და სკოლებში წესიერად სწავლა-აღზრდის საქმეს ერთგულს ნიადაგზე „განათლებისა“ აწყდის მკითხველებს წერილებს, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების ეოველგვარ დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივად ეოველ თვე კარგა ზაფხულის ორი თვისა (ივლისი და აგვისტო) ჟურნალში ჩვეულებრივად იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ეოველგვარი ცნობები ქ. შ. წ.-ე. ბ. საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში, წერა კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან, „Новая Речъ“-ის წიგნის მაღაზიაში კეკნაძესთან და „განათლების“ კანტორაში, ოდეს ქ. № 6.

წლიურად ჟურნალი **5 მ.** ტფილისში **4 მ.** გაგზავნით ედირება ხელის-მოწერა. მოწერთათვის სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს, საშუალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მუ- ჟურნალი დაეთმობათ შვს **3 მ. 50 კ.**

ცალკე ნომერი ჟურნალისა ედირება **50 კ.** რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი. **მისამართი:** Тифлисъ. Дворянская Грузин. Гимназія Л. Б. Боцвадзе. 1233 რედაქ.-გამომც. **ლ. გ. ბოცვაძე.**

1916 მეორეული ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათებიანი ჟურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარჟებით და კარიკატურებით

წელიწადი მეოთხე

„თეატრი და ცხოვრება“

წელიწადი გამოცემისა მეოთხე

1916 წელსაც გამოვა

წლიურად ჩ მან. ნახ. წლ. 3 მან.

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში—2 მ. ენკენისთვეს 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „ისრაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) ოსიპ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. **ფოსტით:** Тифлисъ, ред. „**Театри да Цховреба**“—Іос. Имедашвили. ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

№ 52

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ
ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ 5 მ., ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲬᲚᲘᲗ 3 მ., ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 10 კ. ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ᲮᲔᲚ-ᲛᲝᲬᲣᲬᲔᲠᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ.—ᲮᲔᲚᲗᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲓᲔᲑᲐ.—ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝᲠᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 15-41

№ 52 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 26 ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔ 1915 Წ.

26 ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔ

ახლად შობვა

იქნება კაცობრიობას, და მასთან ჩვენს სამშობლოსაც, არც კი გასთენებოდეს ისეთი მწუხარე შობა, როგორიც აწინდელი: ეგრედ წოდებული კულტურული ქვეყნები ურთიერთს მუსრავენ და ამავე დროს მაცხოვრის შობას დღესასწაულობენ!.. ჩვენი ქვეყანაც, უნებლიეთ, საერთო ორომ-ტრიალში ჩაირეული, იწრიტება სისხლით...

მაგრამ ეს სისხლის წრეტაც არ არის საოწარმკვეთი...

შობის დღესასწაული კიდევ ერთხელ მოგვაგონებს, რომ ტანჯულ კაცობრიობას ერთხელაც არის მხსნელი მოევლინება, მხსნელი—არა ზე კაცი, არამედ თვით მაცხოვარივით ბაგასა შიგან დაბადებული, მშრომელი ხალხის მკერდზე გაზრდილი...

ხოლო ჩვენი ქვეყანა, მრავალი დანაკლისის მიუხედავად, იმითაც უნდა ნუგეშობდეს, რომ ამა მიმდინარე წელს, სხვათა შორის, ხმა ამოიღეს ქართველმა ებრაელებმა, უფრო ძლიერ ახმაურდენ ქართველი მაჰმადიანები და ქართველი გრიგორიანებიც: განა სიმუხი აშული არ არის, ყველას რომ ჩასჩიჩინებს „საქართველოს შვილი ხარ, შვილო, იცან შენი ქვეყანაო!?.“ ქართველმა ებრაელებმა იცნეს უხსოვარის დროიდან შეტკბობილი სამშობლო საქართველო, ქართველმა მაჰმადიანებმა მოსძებნეს ძველი კერა—საქართველო; ჯერი ქართველ გრიგორიანებზეა: ადრე თუ გვიან იგინიც იცნობენ საქართველოს და მტრულად აღარ მოეპყრობიან...

გარდა ამისა ჩვენს პოლიტიკურ წრეებში ეროვნულ საკითხს მეტი ყურადღება მიექცა.

და ჩვენი ერის ახლად შობის ხანაც ამით დაიწყება...

—

პირველობის შური

სოფელში ვინმე მუყაითი, თაოსანი და ბეჯითი კაცი რო გამოჩნდება ხოლმე, ხშირად, წამბაძველობის მაგიერ, შურს იწვევს: იმას კი არა ცდილობენ მისეურად გააუმჯობესონ მეურნეობა, თვისი ყოფა-ცხოვრება, არა! ჩუმად, მზაკვრულად ან ვაზს გაუკაფვენ, ან ნამყენს მოჰპარვენ, საქონელს დაუზიანებენ და.. ასე: „ვინ ოხერია, ჩვენზე წინ რო მიდისო!..“

ეს ამბავი მოგვაგონა კახელ კოოპერატორთა კავშირის კრებამ...

ვინატრით, ასეთი ჩვენი შედარება მართალი არ იყოს, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთი ცნობა და თვით მომხდარი ამბავი ცხად ჰყოფს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ შვილთა მოუმწიფებლობას...

გამოჩნდა კაცი—ვინმე ლუკაშვილი—მუყაითი, გამჭრიახი, საერთო საქმეზე თავდადებული, დიდი მოსაქმე, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი სასიკეთო საქმე შეჰქმნა და იმის მაგიერ, რომ უფრო წაექეზებინათ, გაინაპირეს და სასარგებლო საქმეს სათავეშივე ღარღლი ჩააყოლეს...

ჩვენ იმას არა ვფიქრობთ, ვითომც დანარჩენთა შორის—ლუკაშვილის მოწინააღმდეგე ბანაკში—მასზე უკეთესი თუ არა, მისი მსგავსი მაინც არ იყოს, მაგრამ ეს ჯერ არა სჩანს... მართალია, სასურველია ჩვენს ყო-

ველგვარ საქმეში ამხანაგური თანხმობა გამოვიჩინოთ ხოლმე, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ აქამომდე არ მივსულვართ: ჯერ კიდევ კერძო თანხმობა, პირადი გამჯრიახობა, საგნ ს გაგიჟებითი სიყვარული თუ ჰქმნის ჩვენში საქმეს და ამიტომ ძლიერ უნდა ვაფასებდეთ ასეთ კერძო თაოსან კაცებს...

ამ მხრით მეტად სამწუხაროა, თვით საქმისთვისაც საზარალო, ისეთი მუყაითი მშრომელის განაპირება, როგორიც ბ. ლუკაშვილია...

ვიმედოვნებთ, კახეთის კოოპერატორთა და თვით ამ საქმის მესვეურის გრძნობა და წუთიერი აღტყინება საქვეყნო ინტერესებს დაემორჩილება და პირველობის შური საქმეს არ შეაფერხებს...

ოხ! ჯრ ვიცი, არჯ!

შუალამისას, როდესაც ბოროტების ფართეთ გაეშალა ფრთები, როდესაც შორს, შორს გულსაკლავ წყვდიადს ბროლად ანატეხი მყინვარი შავ ფრთებში გაეხვია, როდესაც მოგიჟმაჟე თერგის ტალღებიც-კი გამოუცნობ სევდის ზღაპარს სთხზავდნენ, როდესაც ბოროტების ბასრ კლანჭებში სისხლ გამშრალ ადამიანის გულშემზარავი კვნესა ტკბილ ჰანგად ადნებოდა ბოროტების მეუფეს ყურში,— აი მაშინ ვარდისფრად შეცვლილ ცის კაბადონზე შეთრთოლდა სხივოსანი:

— იშვებდით... ინეტარეთ... იშვა ქრისტე!..

სხივმფენ ვარდის ფურცლებად სწყდებოდნენ ეს სიტყვები მთრთოლავ ბაგეს, მაგრამ არ ვიცი ჩემამდის რად არ აღწევდნენ სხივმფენობით?!. ჩემს კაეშნიან გულს რად არ თრთოლებდნენ იმედის სხივით?!.

ან და.. ბროლად ანატეხ მყინვარზე ტანჯულთ სისხლის ლაქებს მაინც რად არ ჰფარავდნენ?!

ოხ! არ ვიცი, არა!

ს. კაეშნიშვილი

ალმასი

ქუჩის პირად იჯდა გლახა და სტიროდა...

მეფემ დაინახა გლახა, მივიდა მასთან და ჰკითხა:

— რათა სტირი?

— „მე ვიპოვნე ალმასი, მაგრამ ორმოში ჩავაგდე... ჩემი სიმდიდრე წმიდა სახარება იყო და სხვა სიმდიდრე აღარ მინდოდა.. სწორედ ერთი საათის შემდეგ სარდაფიდან მომესმა მშიერ ბავშვების ქვითინი... მათი დედა—სასოწარკვეთილი ტანჯვით ჩარბს იკვნეტდა, ავადმყოფი მამა-კი კედელთან ჩაკეცილიყო და მძიმედ გმინავდა... რომ არ გადამეგდო ალმასი, კარგი იყო: შევწირავდი ღარიბ ოჯახს და გაჭირვებისაგან ვიხსნიდი“.

მეფე ჩაფიქრდა. მაგრამ ამ დროს მეორე მხრიდანაც მოესმა ტირილი...

მეფე მიუბრუნდა მეორესა და ჰკითხა:

— შენ კიდევ რა გატირებს?

— „სიცოცხლე გავწირე და ხრამიდან ალმასი ამოვიტანე. ძვირფასი ალმასი წავიღე და ვაჩუქე სიღარიბისაგან შეწუხებულ ოჯახს“.

— მერე ახლა რაღათა სტირი?

— „ალმასმა სიმდიდრით გააბატონა ისინი! გამედიდურდენ...

მწყურვალეს ართმევენ წყალს და მით თავის ვარდებსა რწყავენ, ოჯახის მამა ჰყიდულობს მონებს და უმოწყალოდ ეპყრობა ეხლქვეითთ..

მათთვის ალმასი რომ არ მიმეტანა, კარგი იყო: ისინი ცოდვას არ ჩაიდენდენ“.

სურო

ღარაჯი

(ეპიზოდი)

შობის საშინელი ყინვიანი ღამე იყო. ღრუბელთა ქულას ამოფარებული მთვარე, კრთალის შუქით, ნაღვლიანად დაჰყურებდა პოლესიეს თოვლით გადაფენილ ჭაობიან არე-მარეს.

ქრისტეშობისთვის ცივი ნიავი დასისინებდა და იკბინებოდა მწვავედ.

მდინარე პრიპიატი მოიკლაკნებოდა ზან-

ტად და რაღაც გამოუთქმელის მწყრომიარე ბუტბუტით იკარგებოდა ჭალაში...

„წყეული ჭაობები“-ს (ასე ეძახიან აქ ნამყოფი ჯარის-კაცნი ამ მიდამოს, რადგანაც ამ ომში ხშირი უბედურება ხდებოდა აქ) ერთ ჯვარედინ გზაზე, შემოძარცულ ტყის პირას, მდინარის მახლობლად, იქ, სადაც გაღმით მტრის მოწინავე რაზმები იყო ჩასაფრებული — გამოღმით კი ჩვენი სადარაჯო იმყოფებოდა, დარაჯად იდგა მიხა აფციაური; ფარაჯაში ჩაფუთვნილი და თოფზე დაყრდნობილი ერთ ბებერ მუხას ამოჰფარებოდა. ის მალიმალ მიმოავლებდა თვალებს ირგვლივ მიდამოს, რომ არავინ გამოჰპარვოდა; სიცივისაგან გაყინულ ფეხებს ადგილობრივ აბაკუნებდა გათოშილ თოვლზე და ოორთქლიდა ხელებს...

ხშირად — როგორც მარტოდ მყოფს — მარტოობის თანამგზავრი ფიქრები არ ასვენებდენ და შორს იტაცებდენ; ისიც გარინდებული, ვინ იცის, სად არ მისდევდა... და ვის არ ჩაფიქრებდა მარტოობა სადარაჯოზე ამ ჭაობების სამეფოში, ადამიანთაგან მოშორებულს, შორს ბანაკიდან, მუდამ შიშსა და ძრწოლაში, როდესაც ყოველი აჩრდილი მტერი გგონია და განუსაზღვრელი ცრუმორწმუნეობის შიში გიპყრობს! მარტოობის შიშს კიდევ უფრო მშიერ ნადირთა ხროვის ამაზრზენი ყმუილი უძლიერებდა, გზა-კვალ აბნეული მახლობელ ტყეში რო დაძრწოდა..

მიხამ იცოდა, რომ დარაჯებს აქ ხშირად თავს ესხმოდენ ხოლმე მგლები. .

მათს ყმუილში ბევრჯელ წარმოუდგა თვალწინ ალაზნის დაცემული ველი ზამთრობით, სადაც არა ერთხელ შეხვედრია მათ...

— ეს ვერანანი საკეთილოდ არა ყმუიან! — ჩაილაპარაკა ჩუმად და სიფრთხილისათვის ხეს დაუწყო თვალიერება, რომ გაჭირვებისას ზედ ასულიყო.

ასეთ ყოფაში თითქო დრო უფრო ნელა გადიოდა, რითაც მოუსვენრად ჰგძნობდა თავს მიხა.

მიუხედავად ასეთი ხვედრისა — ყოველ წუთს უბედურობის მოლოდინში — მაინც საყვარელ ოჯახზედა ფიქრობდა. ხშირად გადასწყვეტდა, სრულიად არ ეფიქრა, არ გაჰხსენებოდა ცოლ-შვილი და ამისათვის ჰფიქრობდა ხოლმე მომხდარ ბრძოლაზე, მის საზარელ სურათებზე, მომავალ, მოსალოდნელ შეტაკებაზე, მაგრამ... რაა სიცოცხლე თუ არა სიყვარული? და იმის სიყვარულიც თავისიანებს დაჰფარფატებდა შორეულ სამშობლოში, რომლის ტურფა სიმშვენიერე მუდამ გონების თვალწინ ედგა.

ხვალ შობაა!

მიხას აგონდება წარსული შობა, როდესაც სახლში იყო და ოჯახურის გულ-უბრყვილო სიყვარულით სტკბებოდა...

აჰა! აი, თითქოს ახლაც იქაა: სოფიო ფუსფუსებს და მოგუზგუზე ბუხარში ზედადგარზე მდგარ ქვაბში სახვალიოდ ვარიას ამზადებს... აი, თაროზე შებრაწული გოჭი და თევზეული! კიდობანში ნაზუქები... პატარა ტატო კისერზე ეხვევა მამას და ფუნაუშა ხელებით არ უსვენებს მამილოს ულვაშებს; თან მოუსვენრად ეტიკეტიკება: „ცად იკავი, მამილო, დგეს? ლა მომიტანე? აქალი ცუტები მიკიდეე? ჰაა, მამილო? კაკებიი?!« მიხას უხარიან! შეჰხარის თავის ღარიბსა, მაგრამ ტკბილ კერას... საყვარელ სოფიოს ეხვევა, უკოცნის თვალებს და ნეტარებით ივსება.

ბაწია ბიჭიკოს გულში იკრავს და შეჰხარის ბომავალ შრომის შვილს.

...თოფს მაგრა იხუტებს ხელში და ეალერსება, თითქოს თავის ცუგრუმელა შვილი ყოფილიყოს... მას უნდა დიდხანს გაგრძელდეს ეს მოგონებათა სურათები, მაგრამ მგელთა ყმუილი არ აძლევს მოსვენებას და ოცნებას ურღვევს...

ოხრავს, გულს სევდები აწვება, რომ ითვალისწინებს დღევანდელ შობას: უპატრონოდაა დარჩენილი ოჯახი, არსაიდან შველა, არსაიდან ნუგეში... სიმშილი კი აფრაშლილი თავისუფლად დანავარდობს.

აგერ, რამდენი ხანია აღარაფერი იცის, რა ხდება საყვარელ სამშობლოში. შინიდანაც არაფერი ამბავი მოსვლია. ეპვები ეპარება, დარდობს: — ვინ იცის რა მოუვიდათ; იქნება დაიხოცნენ. ვაიმე, საყვარელო ცოლ-შვილო. — გულ მოკლული ამბობს და ბელს ემდურის: — ვაი, „თუ გშიანთ, ვაი თუ გწყუ-

რიანთ. ვილა იზრუნებს თქვენთვის, ვილა გაგახსნილებინებთ შობას?“.. ასეთ მოუსვენარ ტანჯვას განიცდის მიხა, მაგრამ არც სამხედრო სამსახურის მოვალეობას ივიწყებს და ერთგულად იცავს ჩაბარებულ გზებს...

ჰყინავს ყველაფერს... მგლები დათარეშობენ და თოვლში ჩაფლულ მკვდრებს თუ სადმე მიაგნეს, სწრაფად სთქვლეფავენ...

მიხა კი უნძრევლად სდგას საგარაჯოზე.

ამ განცდაში რომ იყო, თვალებში შეანათა მგლის ორმა ელვარე თვალმა. მგელმა, შეამჩნია თუ არა კაცი, საზარლად შეჰყმუვლა, რითაც დანარჩენთ ამცნო მსხვერპლის შოვნა.

ამ ხმის გამგონე მიხა, თუმცა გულმა შემოჰკვნესა და თმა აებურძგნა, არ შეშინდა, და რადგანაც სროლის ნება არა ჰქონდა, სანამ მტერი არ ყოფილიყო, ხოლო მგელთა ხროვა კი თანდათან ახლოვდებოდა, თოფი თასმით საჩქაროდ მხარზე გადიგდო და ხეზე ასვლა დაიპირა, მაგრამ, სწორედ ამ დროს, ერთი მოზრდილი მგელი კანჭში სწვდა და ჩექმა ხორციანად გამოაგლიჯა, ხოლო მეორე ფარაჯის კალთაზე ჩამოეკიდა და ქვევით დასწია. მიეშველნენ მათ სხვებიც... ისინი ქვევით ეწეოდენ, მიხა კი ზევით მიილტოდა.

სიცივისაგან დაბუხულმა ხელებმა მეტი ველარ შესძლეს, და მიხა ძირს ჩამოვარდა..,.

ნადირნი გააფთრებულნი ეცნენ...

მიხა არ დაიბნა და წამოვარდა ზეზე; თოფი მოიმარჯვა და ხიშტით შეებრძოლა. იქნევდა თოფს გამწარებული და, ვაი, იმას, რომელსაც ატაკებდა!

ასე გაგრძელდა კარგა ხანს. მიხა სისხლიდან იცლებოდა, სუსტდებოდა.

ნადირნი თანდათან მრავლდებოდენ...

მიხას სიცოცხლის წუთები მოკლდებოდენ...

უკანასკნელად მოიკრიბა ძალ-ღონე, და მწარე ტკივილებით შეწუხებული გადაეშვა მგელთა ხროვას... სისხლით შეიღება იქაურობა; მაგრამ ძლეული, გულ-წასული მიხა სადარაჯოზე დაეცა.

მგლები კი — ეხლა უფრო თამამად — აქეთ-იქით ეწეოდნენ და გაალმასებულ კბილებით ერთმანეთსაც აღარ ინდობდენ...

ს. ერთაწმინდელი

ხალხური შემოქმედება

თაფარავნელი ჭაბუკი

(ფშავლებში ჩაწერილი გოგოლა გაბიდოურის-მიჯერ)

თაფარავნელი ჭაბუკი
ზღვის გაღმა ქალსა ჰყვარობდა.
გადიოდ-გამოდიოდა,
ცურვით თევზებსა სდარობდა.
ქალი უნთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა.
ერთი სულელი ბებერი
იჯდა და აბეზარობდა.
ქალსა გაუქრო სანთელი:
„ეგ კარგა ხანი გყვარობდა!“
მოყმე შთაენთქა მორევსა,
შუა ზღვას ბობოქარობდა;
ქალმა დაიცა დანაი,
ქალი თავს აღარ ნანობდა
მეორე დილა გათენდა,
სოფელი რასმე ჯავრობდა,
დედის ერთაის გულზედა
ისხდა ყორნები—ხარობდა:
შემოსილიყო ცხრა მღვდელი,
ცხრა დიაკვანი გალობდა...

საზოგადო მოღვაწენი



მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი

რა იქნებოდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ სიტყვის ხალხთან საქმის ხალხიც არ გვყოლოდა!..

ხოლო როდესაც მჭევრ სიტყვის პატრონს ღრმა ცოდნა, მჭრელი კალამი და საქმიანობის უნარიც ახლავს, მაშინ ასეთი კაცი უმეტესად პატივსაცემია...

ჩვენ გვყავს ასეთი კაცებიც, რომელთა შრომითაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება წინ მიდის...

ერთი ასეთი მოღვაწეთაგანია **მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი**, რომელიც 30 წელზე მეტია, რაც ჩვენს საზოგადოებრივ საქმეებს კვალ და კვალ მისდევს, როგორც ჩვენის ქვეყნის დიდი გულშემატკივარი მოღ.- მწერალი... 90-იან წლებში, საადგილ-მამულო ბანკის საქმეებში მონაწილეობდა, და ერთ საუკეთესო ორატორად, მოსწრებულ და პირდაპირ მოკამათედ ითვლებოდა. დიდი მცოდნეა საქართველოს სამიწათმფლობელო საქმისა და მრავალი წერილი აქვს დაწერილი საგლეხო საკითხის შესახებ, რუსულად თუ ქართულად. ცხრაასიან წლებში ილია ჭავჭავაძის „ივერია“-ში თანამშრომლობდა, 1910—1913 წწ. ქართული მიმართულების რუსულ გაზეთს „Закавказье“-ს აწარმოებდა, რისთვისაც ბლოგა ვალი დაედო. ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ ორგზის აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლად,—პირველად ძლიერი სიტყვაც წარმოსთქვა ქართველი ერის უფლებათა და ილია ჭავჭავაძის პიროვნების დასაცველად, როდესაც საბჭოს წევრების არჩევნებში რუსის უკიდურესმა მემარჯვენეებმა განაცხადეს—ქართველთაგანი იდეალ ავირჩიეთ, მაგრამ მ. მარცხენე გამოდგაო. ამ დროს მ. მაჩაბელს სთხოვეს კიდეც სახ. საბჭ. წევრობაზე ყუთი დაედგა, მაგრამ ადგილი ან. ერისთავს დაუთმო; მეორედ წელს (1915 წ.), კიდევ იყო ამომრჩევლად, მისი კანდიდატურაც წამოაყენეს, მაგრამ რადგან მემარცხენე ბანაკში ჩაერიცხა—მემარჯვენეთ არ გაიყვანეს.

დღევანდელ ხანაში მისი ღვაწლი იმითია ღირს-აღსანიშნავი, რომ ქართულ საქველ-მოქმოქმედო საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა და მიძინებული საქმე გამოაღვიძა: მცირე ხნის განმავლობაში დიდძალი ფული მოუპოვა (სხვათა შორის, მთავრობას დაუმტკიცა, რომ ქართველების დახმარება იგ-ვე სახელმწიფო საქმეა, დახმარების ღირსი, რისთვისაც ამ საზოგადოებას მიეცა ერთდროულად ასი-ათას მანათზე მეტი, ხოლო ყოველ თვიურად ათიათას მანათამდე ეძლევა), წევრები გაუმრავლა და განსაკუთრებით ქართველ მაჰმადიან-აჰარელთ დიდი ზნეობრივ-ნივთიერი დახმარება აღმოუჩინა. ეს საზოგადოება,

უკვე მკვიდრ ნიადაგზე სდგას და დაზარალებულ ქართველთა სასარგებელოდ მხნედ იღვწის.

როგორც საზოგადო მოღვაწე, მ. ვ. მუდამ წინაალმდეგი იყო და არის საზოგადო საქმეში სამსახურის სანაცვლოდ ჯამაგირი აიღოს რ-მე. თვით მსახურებს სახელმწიფო ქონებათა სამართველოსა და მიწათ-მომწყობ პარტიაში, რუსის მოხელეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი, რავდენად პირნათლად ასრულებს სახაზინო სამსახურს, იმდენად ქართველი ერის ინტერესებს გაბედვით და შეუდრეკლად იცავს. რუსეთ ს ბუნებისმეტყველთა კრებაზე თბილისში 1913 წ. წარმოსთქვა ფრიად შინაარსიანი სიტყვა, ამხილა რუსის საზოგადოება და, სხვათა შორის სთქვა: საქართველოში ქართველებისთვის არაფერი კეთ-

დებაო... თქვენ მოსულხართ ბუნების შესასწავლად, ღირსეულ ნაშთთა დასაცველად, ადამიანს კი ივიწყებთ: საჭიროა ადამიანის დაცვა-გაფრთხილებაო...

მ. მ—ს ქართველ საზოგადოებაში დიდი პატივისცემაც აქვს დამსახურებული, თუმცა საზოგადო საქმეებზე არა ერთხელ უდიერადაც შესჯახებიან.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის აქედ ჩვენს ყოფა-ცხოვრებას იგი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყოველი მოვლენა ახსოვს, როგორც დიდი მეხსიერების კაცს, და ამიტომაც არის, რომ მას ხუმრობით „ცოცხალ არქივს“ უწოდებენ. ურიგო არ იქნებოდა, რომ პატივცემულს მოღვაწეს თავისი მრავალ წლის ნახულ-განცდილი, მოგონებანი, აღეწერნა ფართე საზოგადოების გასაზიარებლად.

მ. ვ. მაჩაბელი ჯერ შუახნის კაცია, ჯანსაღი, და იმედია, კიდევ დიდხანს უფრო მომეტებულის მხნეობით ემსახურება ჩვენს ქვეყანას...

იოსებ არიმათიელი

ორი მუშაკი ქალი

(ასური ნასესხებია)

I

ერთი ასული გასათხოვარი,
დიდ მეჯლისიდამ დაბრუნებული
გათენებისას, ნაზი ხმით ამბობს:
„ახ! რა ძალიან ვარ დაქანცული.“
სწრაფლად დაეცა ის სავარძელზე
და მიეყრდნო მას თვალ-დახუჭული:
წარსული ღამის ტკბილ მოგონებით
მისი არსება იყო მოცული.
ნაზი, გამხდარი მისი სხეული
იყო საბრალო შესახედავი,
და ფერწასული სისხლ-ნაკლებობით
ძლივსლა სუნთქავდა ის საცოდავი.
დიდის ჯაფისა და მოძრაობის
პირის სახეზე აჩნდა ხაზები,
და უშვენებდა გულმკერდს მილეულს
მას ხელოვნური ია-ვარდები.
მის გაწეწილი თმა სურნელებით
უხვად მრავალ გზის იყო სხურული,
და სანახევროთ ტიტველ იმის მკერდს
ნელის ცემითა არხევდა გული.
ან კი რა ექნა? ბევრი იჯაფა
და დაიღალა ნაზი ასული:
სამს ღამეს მიწყივ მხურვალე ცეკვით
დიდს მეჯლისებზე იყო გართული.
და ამაღამაც კვალად საცეკვად
უნდა წავიდეს იგი „საწყალი“.
ღმერთო! მოხედე ზეცით მუშაკსა
და შრომისათვის შესძინე ძალი!

II

იმავე სახლის ქვემო სართულში
ერთი ოთახი იყო მიდგმული,
მეტად პატარა და უსინათლო,
ღარიბულათ და სუფთად მორთული.
მასში სცხოვრობდა მკერავი ქალი,
სამუშაოდამ არ იღებდა თავს.
მეჯლიშსა, ლხინსა და ცეკვაობას
ვინ აღირსებდა იმა საცოდავს?!
პურსა და ყველსა შეექცეოდა,
და წყალი იყო მისი სასმელი,
თვის ოფლით მოხუც მშობლებს არჩენდა,—
ის იყო მათი სულის ჩამდგმელი.
შუა ღამეა უკვე გასული...
ჩქარობს და თანაც უღელავს გული...
სურს ჩააბაროს ღილით ერთს „დამკვეთს“
ფარჩისა კაბა გათავებული...
კაბაც შეკერა... გახარებული
ჩაწვა ლოგინში ტანთგაუხდელი.
ტკბილი ძილიცა მალე ეწვია,
დაღლილისთვის ძალთ მომნიჭებელი.
იმის ნაზს სხეულს მშვიდად ეძინა;
გამხდარ სახეზე აჩნდა ღიმილი...
ალბად თუ ნახა იმან სიზმარში
თვისი მიჯნური, საქმროდ ხმობილი.
ადრე ადგება ღილით საწყალი
და ხელს მოკიდებს კვალად საკერავს...
შუაღამემდის სამუშაოდამ,
რა გინდ უჭირდეს, ვერ აიღებს თავს...
ზეგ ისევ შრომა... და მთელს სიცოცხლეს
ჯაფაში დალევს საბრალო ქალი...
ღმერთო! მოხედე იმას ზეცითა
და შრომისათვის მომადლე ძალი.

ილ. ფერაძე

უძველესი საბერძნეთის თეატრი

ტრაგედიებისა და კომედიების ავტორები ეკუთვნოდენ განათლებულთა წრეს და ხშირად მადალი ადგილებიც ეჭირათ საზოგადოებაში. სოფოკლე იყო მეკობარი კამოჩენილ და უღიდეს ადამიანის ვერიკლისა. ვერიკლესთან ერთად სოფოკლემ გაიდაშქრა კუნძულ სამოსზე. ამ გადაშქრების დროს მან გამოჩენილ მხედრის სახელი დაიმსახურა. ევრიპიდე თავის დროის ერთი განგითარებული ადამიანთაგანი იყო და მისი ბიბლიოთეკა ერთი საუკეთესოთაგანი მაშინდელ საბერძნეთში.

არა მარტო დრამატურგ-მგოსნები, არამედ ამ მგოსნების ნაწერების სულის ჩამდგმელი მსახიობნიც საბერძნეთში ხალხის დიდი პატივისცემით სარგებლობდენ. ამაში მათ ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ისინი განგითარებულნი იუყენ.

მსახიობნი და პიესების ავტორნი მაშინდელ საბერძნეთში რომ უპირველესნი და უგანათლებულესნი იუყენ, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ხშირად მათ მიანდობდენ საეურადღებო სახელმწიფო საქმეებს. მსახიობებს არისტოდემს და ნეოპტოლემს მიანდვეს მაკედონიის მეფე ფილიპესთან ელჩობა. უღიდესი ორატორი დემოსთენი კამოჩენილ მსახიობ სტირიუსთან სწავლობდა დეკლამაციას. ზოგიერთი სახელ-განთქმული დრამატიული მგოსნები იმავე დროს მსახიობათაც იუყენ, როგორც მაგ. ესხილი.

ბერძნებს თავის თეატრი ძალიან გატაცებით უყვარდათ. დიონისის დღესასწაულებზე ისინი ელადის ყოველ მხრიდან ათინაში იკრიბებოდენ. ვინაიდან წარმოდგენა მთელი დღის განმავლობაში გძელდებოდა, ამიტომ ყოველ მომსვლელს თან მოქონდა საჭმელი. საზოგადოება თავის ადგილებს ყვირიდითა და ტაშისცემით გამოსთქვამდა და კბირის ტანჯვის თანაგრძნობას კი ურგითა და ტრამლებით.

საბერძნეთის თეატრს სხვა მნიშვნელობასთან ერთად სოციალური მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ თეატრში მოსული ურიცხვი საზოგადოება იმსჭვალებოდა საერთო გრძნობით, ათასი ხალხის გული ერთ ჭანგზე სცემდა, საყოველდღეო ინტერესებით კათიშული ხალხი ერთიანდებოდა, ერთი სულიერი გაწყობილებით და ერთიერთ შორის კავშირსა გრძნობდა.

გარდა მოქიშჭე საზოგადოების კერთანებისა, თეატრი ასრულებდა სხვა მნიშვნელოვან როლსაც. ის ამადლებდა ხალხს ზნეობრივათ და გონებრივად. სცენიდან ესმოდა ხალხს საბერძნეთის ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების აზრები, ფიქრები და გრძნობები. ესხილი, სოფოკლე და ევრიპიდე თავის ტრაგედიებით ბრბოს გულში აღვიძებდენ გრძნობას, რომელიც თუ არა პოეზიის ტოტხალი სიყვები, მიეუწებელი იქნებოდა სამუდამოთ. საუკეთესო ხალხი თავისი პიესებით ბრბოზე კავლენას სტოვებდა და ბრბოც ისე ფიქრობდა, ისე აზროვნობდა, როგორც ეს ხალხი. დრამებმა ბრბოს თანაგრძნობა მოუხვეჭეს იმათ, ვისაც თანაუგრძნობდენ ავტორნი, შეაზიზღეს — ვისი ზიზღიც საჭირო იყო. ისინი თეატრში ბრბოს თავის დონემდე ამაღლებდენ, ხალხი, თეატრიდან გამოსვლისას, თავს გაწმენდილად გრძნობდა. ამგვარი იყო საბერძნეთის ტრაგედიის გავლენა ხალხზე

საბერძნეთის კომედია დიდი თავისუფლებით სარგებლობდა კომედიაში ეგელაფერის დაწერა შეიძლებოდა, არაფერი არ იყო აკრძალული. კომედიას გამოქონდა ხალხის სამსჯავროზე არა მარტო საზოგადოებრივი ცოდვები, არამედ კერძო პირის ბოროტ-მოქმედებაც. არ იყო კაცი, რომ კომედიას არ შესძლებოდა მისი სცენაზე გამოყვანა, მისი ნამდვილი სახელით მოანთველა. არისტოფანე გაბედულათ დასცინოდა კლეონსაც კი. აღნიშნავდა, რომ კლეონმა უფლება სულთ იგდო, მაგრამ უღირსია ამისიო. კომედია მაშინ პრესის როლსაც ასრულებდა და დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა.

უძველეს ბერძნებისათვის თეატრი იყო ის დაწესებულება, სადაც ჩვიდლებოდა მათი გული, სკოდა, სადაც ნათდებოდა მათი ჭკუა-გონება და ტრიბუნა, საიდანაც ისმოდა ბოროტობის მამხილებელი სიტყვა. თეატრი იყო ბერძენთათვის წყარო სხვადასხვა სიხარულისა. იგი ასრულებდა წიგნისა და გაზეთის მოვალეობასაც.

ხალხის ცხოვრებაში ისე, როგორც კერძო პირის ცხოვრებაში, სრულ აუგვეგებისა და გაფუჭების შემდეგ იწყება ხანა დაძაბუნებისა და დაცემისა. ამ უდმობელ ბედს ვერ ასცდა ვერც უ-

ველესი ელადა. შინაურმა უთანხმოებამ, განსაკუთრებით სპარტასა და ათინას შორის ცილობამ, რომელმაც ათ წლიანი პელოპონეზის ომი გამოიწვია, გაადატაკა საბერძნეთი და დაამხო ათინის რესპუბლიკის ძლიერება. უდიდესი საბერძნეთის ხალხი, რასელმაც, კოლბას სიტყვით, გაკაფა გზა კულტურისა და ცივილიზაციისაკენ და რომლის მოდგაწეობაც მადა იდგა იმაზე, რაც გააკეთა სხვა ხალხმა, ნელნელა მიიფერფლა და გაქრა.

მიიფერფლა საბერძნეთის თეატრიც. ძველებურად კიდევ იწერებოდა ტრაგედიები და კომედიები, მაგრამ არც დრამაში და არც კომედიაში არ იყო ის ახალგაზდური სიცხოველე და ის ძალა, რაც საბერძნეთის აყვავების პირველ ხანაში იყო.

ამაგე ხანაში დაიწყო ადარძინება ახალისა და უდიდეს სახელმწიფოისა. ეს სახელმწიფო იყო რომი. ის თანდათან იფართოებდა თავის საზღვრებს. მისი ნახევრათ ველური ლეგიონები ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე იბრძოლებენ ადგილებს. საბერძნეთის ბედმა არგუნა ამ უდიდეს სახელმწიფოს ერთერთ ბრწყინვალე გამხდარიყო.

როგორი იყო თეატრი რომის იმპერიაში? ამაზე ეემდეგ.

გიგლა მებუკე

ყვავილები

მარგარიტა გოტიეს

ო, მარგარიტა! მარგარიტა! შენს უკვდავ ტრფობას,
ტრფობას საშინელს, ტრფობას ლამაზს, ტრფობას დაფარულს
ვინ დააფასებს? ვინ შეიძლებს მის გამოცნობას?
ო, მარგარიტა! მარგარიტა! მე მესმის შენი.
მე ვხედავ თვალებს—შენს მუქ თვალებს—ცრემლით დაღარულს,—
მაგრამ მითხარი, მიპასუხე, სთქვი, ამიხსენი,
მაგ შენის გრძნობით რად, რად ათბობ ჩემს მიმკვდარ გრძნობას,
რისთვის მაგონებ, უბედურო, Ellé-ს სიყვარულს?!.

ნ. ჩხეიძის გასტროლი, თბ.—15 წ.

ვასო აბაშიძე

ი. გრიშაშვილი

პოლკ. თავ. ნ. მ. ბავშვაძე
გმირობისათვის ოქროს ხმლით და სხ. დაჯილდოებ.

*
* *

ძ—ს

შენ ზღვის ტალღა ხარ, ტალღა ძლიერი
ქარიშხლის ფრთებით აღელვებული;
შენ ჩანჩქერი ხარ, ცელქი ჩანჩქერი
კლდის ყრუ ნაპრალში აფეთქებული...
შენ ფოთოლი ხარ, ნაზი ფოთოლი
ვნების ნიავით ათრთოლებული;
შენ ბაგეს აპობს ღიმილის ზოლი,
ზოლი ეროსის ფრთით გავლებული...

და ვფიცავ შენს თავს, ვფიცავ შენს თვალებს,
ვფიცავ შენს სახელს, წამწამთა ჟღერას,
უშენოდ სული კვნესის, ვალალებს,
და შენ ვერ ხვდები ჩემ გულის ძგერას...

ცვარნაში

ელისაბედ ჩერქეზიშვილი სხვადასხვა როლში

მათალა (60 წ. „არშიები“)

ფროშარი (ორი ობოლი)

ხორეშანი (60 წ. „არშიები“

ბიძიაშიოს

ჩვენო ჩუმო მოამაგევ,
მგოსანო ბიძია,
მსურდა შენთვის მომეკრიფნა
გაზაფხულის ია,
მაგრამ წყეულ შემოდგომას—
რა ვქნა—გადუხმია!

სხვა რომელი ყვავილია
შენზე უტურფესი,
იასავით თავ-დახრილი,
მორცხვი, უნაზესი?—
დედას ვფიცავ, არც ერთია
შენზე უკეთესი!

მაშ, რა უყო, რა მოგიძღვნა,
საყვარელო ძია;
ვის რა ვთხოვო,
რა ვიშოვო,
შენზე ლამაზია?..

ნუ გამკიცხავ, გენაცვალე,
ჩემო კარგო შიო;
რომ ასე ხელ-ცარიელი
ყელზე მოგეხვიო!

გ. ქუჩიშვილი

***

თეთრ სამოსელს ფლასად ვაქცევ,
სარეცელად—მიწას შავსა,
დღეს შავ ღამედ დავისახავ
და ნადიმად კაეშანსა,
ცრემლით მინდორს ტბათა შევქმნი,
მოთქმით მთა-გორს ვაქცევ ბარად,
ოხვრა-კვნესით სულსა დავლევ,
თუ სხვა გეტრფოს ჩემად გვარად!..

დარია ახვლედიანისა

—

საშობაო

ჰყინავს და ჰყინავს ზამთარი,
თოვლის ფერფლები ცვივიან,
კრიპა შეჰკვრიათ სულ-დგმულთა,
მამლებიც ველარ ჰყივიან.

—

ღარიბ-ღატაკნი, ბეჩავნი
ღმერთსა ჰყვედრიან, ჩივიან;
უმწეო მათი ცოლ-შვილნი
სიმშილისაგან წვივიან.

—

გული იტანჯვის, სული სწუხს,

მეორე მხარეს რომ ვხედავ
კმაყოფილთ დალხინებაში.

იაგო ტეტუნაშვილი

ბედი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 51)

VI

იგინივე და **ნინიკა**.

ნინიკა (სასჩქაროდ შემოდის) ამილახორმა მოგახსენა, ქალიაო!

ზაზა ეჰ, ეგ ვერაფრად მეჭაშნიკა, ჩემო ნინიკო! მაშ ქალიაო?

ნინიკა. დიახ, ჩემო ბატონო!

ზაზა. მაინც არა უჭირს-რა! ვნახავთ კიდევ რა იქნება. ბატონებო! დღევანდელი საქმე მოხდა ჩვენ დაუკითხავად, როგორც ეცით, ესე იგი, საქართველოს წარჩინებულთა კახთა და ქართლთა თავადთა დაუკითხავად. რათ გვინდა ჩვენ სხვისი მფარველობა? ჩვენ თვითონ, ჩვენს ქვეყანას განა ვერ მოვუვლით? ჩვენ თვითონ ჩვენსა თავისუფლებას განა ვერ დავიცავთ? ჩვენ თითონ ჩვენისსავე ძალითა და ღონითა გარე-მტერს კისერს განა ვერ მოვუგრეხთ? რად გვინდა სხვისი შველა, მერე იმისი შველა, ვინც ჩვენ არც კი დაგვიძახნია? რად გვინდა სხვისი ცოდვა? რად გვინდა სხვისი სისხლი, რომელიც ქართველთა გვამში ისედაც ჭარბია? არა, არ გვინდა სხვისი შველა! ჩვენ თვითონ, ვინც აქა ვართ, თუ ჩვენივე ღონე ვერ მიგვიწევს, მივმართოთ ალექსანდრე ბატონიშვილს, მივმართოთ ბატონიშვილს იულონს, ერეკლე მეფის საყვარელს პირველს ძეს. ესენი თუ არა, დავით ბატონიშვილი განა აქ არა გვყავს? ან რად გვინდა ესენი, როცა ორი გვირგვინოსანი დედოფალი გვყავს, დარეჯანი და მარიამი! დავაჰერინოთ მათ ხელში საქართველოს დროშა, ჩავსდგეთ მის ფრიალის ქვეშ, დავსძახოთ კიჟინა და მაშინ ჰნახავთ თუ რომელი მტერი გაუძლებს ჩვენსა ხმლის ტრიალსა?! ეჰ, შენ ჩემო თავო! ახლა მოვხუცდი, ახლა მღალატობს მკლავი, თორემ ჩემს ჯეელობისას ოცს კაცს ვებრძოდი ხოლმე და გამარჯვება ყოველთვის მე მრჩებოდა! რამდენნი ხართ აქა, ჯეელნი! რასა შვრებით თქვენა? ფუჰ, თქვენს ქართველობას, რომ მფრთხალადა ხართ ამ ჟამად!! ფუჰ თქვენს მარჯვენას, რომ მახვილის ტრიალის მაგიერ, ამ სიონში პირჯვარის გამოსახვით აქნევთ თქვენს მარჯვენას რაღაც დღესასწაულისა გამო. ფუჰ თავია თქვენთა! რა დღესასწაული, რის დღესასწაული! დღესასწაული კი არა, დღევანდელი დღე ჩვენი სიკვდილის დღეა და აბა, ქართველნო, არიქათ გამოვიღოთ ხელი, ნუ ვართ ლაჩარნი, ავსდგეთ და ვიბრძოლოთ!

ბაგრატ. ყოჩაღ, ზაზა! ყოჩაღ! ვაშა, ვაშა შენსა ვაჟკაცობას, ვაშა შენსა მხნეობას! აი, აგრე უნდა, აი! აგრე უნდა გაგვამხნევო ხოლმე! მაგრამ დაიცა პატარას ხანს, დალაგებითა სთქვი რა გწადიან!

ზაზა. როგორ თუ დალაგებითა ვსთქვა? ამაზედ მეტი რაღა დალაგება გინდა, რასაც გულში ვგრძნობ, იმას ვამბობ? არ გვინდა ჩვენ სხვისი შველა! არ გვინდა გამდელი! არა, არა და არა!

ყველანი. არ გვინდა, არ გვინდა, არა, არა! ვაშა ზაზას, ვაშა!

ბაგრატ. გაგვპულეტავენ, გაგვსრესავენ, მტვრად გვაქცევენ!

ზაზა. ბრძოლაში რაც უნდა მოხდეს, დეე, მოხდეს! გაგვპულიტონ, გაგვსრისონ, მტვრად გვაქციონ, არაფერია, გავუძლებთ ყველას, გავუძლებთ, არ გვინდა, არა, და არა! (მოქალაქენი ერთმანეთს წასჩურჩულებენ და წუნარად გაჰყურებენ)

ყველანი. არა, არა, არა, არა!

ერეკლე. ფიცი! ფიცი! ფიცი დასდეთ ერთგულობაზედ?

ყველანი. ფიცი! ფიცი! ფიცი!

ზაზა. (ხმალს ამოიდებს) ხმალი! (ყველანი ამოიდებენ ხმლებს) აბა, დაიფიცეთ! (ქუდებს მოიხდიან, ყოველს ფიცზედ თავთავიანთ ხმალს ზაზას ხმალს ოდნავ დაჰკვრენ) ვაი და ვაგლახი იმას ვინც მამულს ულალატოს!

ყველანი. ვაი და ვაგლახი!

ზაზა. თავს ლაფი დაესხას და გაუტყდეს სახელი ვინც მამულს არ არგოს!

ყველანი. ამინ! ამინ!

ზაზა. იფიცე, შეურცხვეს პატიოსნება იმას, ვინც გვიღალატოს!

ყველანი. ვფიცავთ!

ზაზა. დღე და ღამ მოსვენება ნუ მოგვ-

ცეს ღმერთმა და დაგვტანჯოს სვინიდისის ქენჯნამ თუ ოდესმე ვუღალატოთ ერთმანერთს.

ყველანი. ვფიცავთ!

ზაზა. იფიცეთ ყოვლად მპყრობელის, მაღალი ღმერთის სახელით, წმიდა სეფისკვერი ჩალად გვექცეს და წმიდა ზედაშე მწარე შხამად, თუ ურთიერთს როდისმე ვუღალატოთ!

ყველანი. ვფიცავთ!

ზაზა. იფიცეთ საშინელი განკითხვის დღე; იფიცეთ რაც კი წმიდაა თქვენს გულში, რომ თავის დღეში ღალატში არ შევსდგათ ფეხი და თუ ვინმე მტრის წინაშე დაიხაროს ქედი, მან თვისი დედა, დაი, ასული, ცოლად შვირთოს და ხასად დაისვას! ამინ!

ყველანი. ამინ! ამინ!

VII

იგინივე და **ოთარ ამილახორი**

ოთარ. (სწრაფად შემოდის) ბატონებო! ბატონებო! თქვენი ყრილობის ამბავი შეუტყვიათ და სწრაფად მოდის აქ ჯარი, ზარბაზნებით! დაიშალენით, ჩქარა!

ზაზა. ვინ იყო მერე ჩვენი გამცემი?

ოთარ. ჩინოვნიკმა მოიტანა ამბავი, რომ თქვენ აქ რაღაცა საიდუმლო საქმე გქონიათ!

ზაზა. იმას უყურე! რა ეშმაკი ყოფილა! ტყუილად კი არ დაგვათვალიერა!

VIII

იგინივე და **ლაზარევი ჯარით.**

ლაზირევი. ბატონებო! თქვენ აქ რა ამბავი გაქვსთ? რაღაც საიდუმლო, რაღაც შეთქმულობა?

ზაზა. რასა ბრძანებთ, ბატონო! რის საიდუმლო და რის შეთქმულობა? ჩვენ აქ ურთიერთს მივეცით ფიცი, რომ ერთად ვიყვეთ ყველანი საერთო საქმეში და ეს არის თქვენთან ვაპირებდით ხლებას დარიგებისათვის.

ლაზარევი. ახლავე დაჭყარეთ იარაღი, თორემ ძალას ვიხმარ!

ზაზა. იარაღის დაყრა რა საჭიროა, ბატონო? ქართველისათვის იარაღის დაყრა დიდი სირცხვილია! ნუ ინებებთ ამას; ხომ არა გგონიათ, რომ იარაღი ვიხმაროთ თქვენზე და წინააღმდეგობა გაგიწიოთ?.. რასა ბრძანებთ?

ლაზარევი. ჰმ!.. მართალსა ბრძანებთ?.. მაშ ეს შეთქმულობა რაღა იყო?

ზაზა. მართალს მოგახსენებ, ბატონო, თქვენ ტყუილი მოგახსენეს და ჩვენ ვიღაცამ დაგვაბეზღა. შეთქმულობა კი არა, სჯა გვქოდა თუ ვის რა შეგვიძლიან, რომ თქვენ დაგეხმაროთ ბაბა ხანთან საომრად, დავსდეთ ფიცი და ეს იყო; სხვა არაფერი!

ლაზარევი. ბაბა-ხანს ჩვენ თვითონ მოვერევით, თქვენ საჭირო არა ხართ! ხელმწიფე იმპერატორის სახელით გიბრძანებთ ახლავე დაჭყარეთ იარაღი, თორემ ზარბაზნების სროლას დავიწყებ!

ზაზა. ზარბაზნები რა საჭიროა, ბატონო! მიბრძანდით და ჩვენც თქვენთან გიახლებით!

ლაზარევი. მაშ ყველანი სასახლეში წამობძანდით!

ყველანი. გიახლებით! გიახლებით (ჯერ თავადნი კაჟდენ და მერე მიჰყვება ლაზარევი ჯარით)

ფარდა

კ. ყიფიანი

(გაგრძელება—მეოთხე მოქმედება—დაიბეჭდება შემდეგ ნომერში)

განცდა

(დასასრული. იხ. „თ. და ც." № 51)

11

რაცა ხანია მას შემდეგ.

მისი ნუგეში ბიჭუნა მეხუთე წელში გადადგა და, ამ ხნის განმავლობაში, არავითარი ამბავი, არავითარი ცნობა ილოსაგან; პატარა ბავშვიც კი გრძნობს უმამობას, კითხულობს, მაგრამ რა უთხრას, რომ თვით არა იცის რა.

— „ნუ თუ ილოს დავავიწყდი?.."

შუშანას თავის დაკოცებულ გულში არა ერთხელ გაუვლია, მაგრამ ეს ეჭვი თვითვე უცბად გაუქარვებია: „არა, არა, ეს შეუძლებელია..."

— ღმერთო! რა შეგცოდე...—თავის და უნებურად ჩვეულებისამებრ ამოხდა შუშანას; რაიც მამიდას არ გამოეპარა, და თუმცა მას არა ნაკლებ ელრნნებოდა ტანჯვას შეჩვეული გული, მაგრამ შუშანა მაინც ანუგეშა:

— იგი მოწყალეა, შვილო!.. მწუხარებასაც ხშირად სდევს სიხარული...

— ეხ, მამიდა! მწუხარებამ რაცა ხანია აქ დაიბუდა!.. მერე, და სად არის, ნუ თუ აქამდე ვერ მოგვიახლოვდა?!.

— „მოიცა, ძაღლის შეყეფა“...—შუშანამ სული განაბა.

— „თითქო სასიხარულო შეყეფა... ძაღლი ხტის, ელაქუცება... ეს ხმა... ნუ თუ“...

— გამარჯობათ!..

დაიძახა ილომ შემოაღო თუ არა კარები.

— ილო!..

აღტაცებით წამოიძახა შუშანამ და დაეკრა მის ფართე გულსა.

— გაგიმარჯოს!..—უპასუხა მოხუცმა და მაღლა აიხედა, თითქო მადლობისათვის იწვევს ზენასაო.

— დედილო!—დერეფნიდან იძახდა გახარებული, სირბილისაგან გულ-ამომჯდარი ბავშვი: მამა მოვიდაო... მართლა მამა მოვიდა...

დიაღ, ბედნიერი იყო ამ წუთას შუშანა.

სოფელი მოძრაობაშია; თვით ბუნებაც ამინდით ხელშემწყობია...

ილო დაუღალავად შრომობს, მთელი ოჯახი მხიარულობს. ყოველივე სულიერი და უსულო, გამხნევდა, გაბრწყინდა. ბარიც კი, დღემდე კუთხეში მიგდებული, ილოს ხელისა შეხებით, მუშაობით ალაპლაპდა; დარღვეული ღობე შესწორდა; ეზოს კარი, ცალ ანჯამაზე დახრილი, ორივეზე დამყარდა, მხიარულად აჭრიალდა; ძარი, დღემდის დაცხრილული, ცალ-მხრივ სახურავ ახდილი, საიდანაც ფრინველები სიმინდით თავისუფლად სარგებლობდნენ, გამოკეთდა, სიმინდით გაივსო, დარბაზი გაკოპწიავდა.

შუშანა ბედნიერია; წარსული არც კი გახსენებია, დღეის დღითა კმაყოფილია.

მაგრამ...

12

გავარდა თოფი, გამოცხადდა ომი. სამეფო სამეფოს ებრძვის: ერთი მეორეს არ ინდობს...

არა ბუნებრივი ჭექა-ქუხილია, ადამის შვილთა, სისხლის ღვარები მოსჩქეფს, მასში ჩვენი სოფლის შვილითა სისხლის ნაკადულიცაა ჩაღვრილი...

— „რისთვის, ვისთვის“...—ყრუდ მიმოესმის მთელს სოფელს.

ილო მთელი ოჯახით სავახშმოდ ემზადებოდა, რომ გზირის ხმა მოესმა;

— ილო! ბრძანებაა, ხვალ მაზრის უფროს გამოეცხადო, ომში წასასვლელადაო!

ამ ხმამ ყველას შიშის ზარი დასცა: ილო, რო ადგა, ისევე დარჩა კარებისაკენ მიშტერებული; შუშანა ილოს მისჩერებია გაფითრებული, მამიდაც, იქავ კერასთან, ხელში კოვზით ქოთანს დაჰყურებს აცრემლებული...

ხოლო ბავშვს სძინავს, ჯერ უზრუნველსა, და მშვიდათა ფშვინავს...

13

ილო გაისტუმრეს...

მისი ოჯახი, ვით შუშანას გული, დაცარიელდა; თითქო დარბაზიც შევიწროვდა.

და განა მარტო შუშანის? მთელივე სოფლის! ზოგი ოჯახიდან ორი და სამია წასული. მათში ბევრია შუშანას ტოლი და სწორი, უკვე დაობლებული დაქვრივებული...

— შუშანა! მაი!—სანათურიდან ხმა ჩამოისმა—გამოიხედეთ, წერილია...

შუშანა ზეზე წამოიჭრა; მამიდა კი უკვე ჩაცმული, კარში გავიდა.

ხოლო ბავშვმა თვალების ფშვნეტით წამოიძახა:

— დედილო! ჰა, მამა მოვიდა?..

—

უკვე გათენებულია...

— ღმერთო, ილოს ხელია!..

წამოიძახა შუშანამ, რა გადასხნა, და წერილს დახედა.

— შვილო...

— ეხლავე, მამიდა, გხლავე...—მიუგო მამიდას და ხმა მაღლით დაუწყო კითხვა:

— „ჩემო შუშანავ და ყველავ! ქალაქში კარგა ხანს დავრჩით, სანამ შეგვმოსავდნენ თავიანთებურად და სამხედრო საქმეს გაგვაცნობდნენ; შემდეგ ჩვენებურებს დაგვაშორეს და ომის ველისკენ წაგვასხეს. აი, გავცდით საზღვარს, სულ წინ მივდიოდით; განვლეთ ცარიელი სოფლები... ერთ მაღლობზე

შევდექით და იქ დავისვენეთ. მეორე დღეს წინ სვლა გვიბრძანეს... თურმე წაგვიტყუილეს: მაღლიდან, ვით ჭექაქუხილით მეხი მეხზე, ყუმბარა წამოგვიშინეს... გვიბრძანეს, დავიხიენით... დაჭრილებს ზე ვაწყდებოდით და მათზე გადავდიოდით... უცბად დაჭრილთა შორის, ნაცნობის მუდარებითი ხმა შემოგესმა.

— „ილო, ნუ დამტოვებ, შენს ღმერთს აპატიე; ვით დამნაშავე“ ..—ვიცან იგი, არტემა იყო... მაგრამ, რა დროს ანგარიშია, როს იგი დაცემულია, შველა სჭირია, ადამიანია, მასთან მეზობელია... თურმე თავისი ნებით წამოსულა, სომეხთა დრუჟინაში... წამოვიკიდე, ცეცხლთა შორის გამოვიტაცე... ხოლო, რა გავცდი, ვიგრძენ ტკივილი; მეც დაჭრილი ვიყავ... მას შემდეგ მხოლოდ, აი, მოვსულიერდი“...

— შენ დაგენაცვალო!..—წამოიძახა მამიდამ.—მერე, შვილო...

მამიდა ჩქარობდა; ხოლო შუშანას ილოს სურათი წერილზედ ესახებოდა, მით ასოებს კარგახანს ველარ არჩევდა...

— „მსურს ყოველივე მოგწერო, მითი ნაღველი გადავიქარვო. მინდა, მაგრამ ჩარჩენილი ყუმბარის ნაჭერი... ნუ შეგეშინდება, გაივლის... დაგიკოცნი მაგ, ჩემზე გამომყურე თვალებს... შუშან, ჩემს მაგიერ აკოცე ბიჭუნასა, გაუფრთხილდი, კარგა აღზარდე, იქნებ მაგან, ჩვენი შეერთებულ სიყვარულის ნაყოფმა, მოიმკას ძმობა, დასთესოს ერთობა... ვეამბორები, ვითა მშობელსა, ჩემს მამიდასა, ჩვენთვის მლოცველსა... თქვენგან დაშორებული ილო“.

— გავიდრებ დმერთსა. .

შუშანა მამ დას ყურს არ უგდებს; არ უკვირდება უკ.ე სხვა ხელით ნაწერს განაგრძობს.

— „შუშან! ვერა, ვერ ვბედავ, მაგრამ... ბედნიერია, ბედნიერი. . რომ იგი აქ და იქ საიქიოს საყვარელია... გაგიტყდები, ყოველი ტანჯვა მე, მე მოგაყენე... მუხლ ვიდრეკ, ვით დამნაშავე, მის წინაშე, ვინც გუშინ... ილომ ველარ მოასწრო ამ წერილის გამოგზავნა... სული დალია“...

აქ შუშანა შესდგა, ვით გამოურკვეველმა, განიმეორა:

— „... სული დალია“...

მამიდა გაოცებული, ვით ელდა ნაცემი, პირში ნერწყვ გამშრალი გაშტერდა; ბავშვი ორთ:ვეს შესცქეროდა.

შუშანამ განმე რებით განაგრძო:

— „სული დალია... დღეს აღარ არის... გუშინ წმინდა გიორგის ჯვარი დაადეს გულზე; წაასვენეს... ილოს სულის ამოსვლისათანაც კი შენი სახელი და“...

აქ კიდევ შესდგა, ლუღლუღით და ნაწყვეტ-ნაწყვეტ განიმეორა:

— „ილომ... სული დალია“... და მე... ჰა? ვინ... ილო... სად... ილო... ჰა, ჰა, ჰა, ჰა...

შუშანამ უცნაურად გადიხარხარა; მოხუცი მამიდა გამოურკვეველი შესცქეროდა; ბავშვი კი დაჟინებით ეკითხებოდა:

— ლა, დედა? მამამა ცუსტები ალ მოიტანო?..

ხოლო მათი ოჯახის ერთგული დარაჯი ლეკვი შეჰყეფდა, ითქო მეზობლებს ამა ოჯახის უბედურებას ამცნობდა.

მაგრამ განა მარტო ილოს ოჯახი იყო ამ ჟამად ასე დაობლებული?..



დიაკვნის წერილი სატრფოსთან

წმინდაო მთავარ მოწამეო გიორგი, ევედრე დმერთსა ჩემთვის, რო მომცეს დავითის ნაწი, რათა ქება და კადობა შეგასხა ჩემს სულის დამამშვიდებელს, ჩემს სამოთხის ვარდს, ედემის ეკვიდს, სატრფოს თვითონ დმერთია მოწამე, რომ ჩემი თავი მე ადარ მემორჩილება, ვედარ დავმშვიდებულვარ მას აქეთ, რაც კი სასიყვარულოზე თვალი მოგკარი; ჩემო სიცოცხლის მეტრიკავ! როდემდის იქნები ჩემზედ ესე კმედმოვით ცივი?—რატო არ მიბრალდებ, შენის გულისთვის სანთელივით ვსდნები, შენს მოგონებაში; რამ შეგქმნა? რამ დაგბადა? თუ დმერთმა ცალკე არ იმუშავა შენზე, საიდან კამოხვედ ესეთი დამაზი, ჩემო სულის შიდაფლავო, ჩემო ბრამის ტაბლავ, ადგომის კედლტარი-

ვით ჩამოქნილო, ესსკასსვით ტებილო, ზედაშესვით გემრიელო, ნაკურთხი ნადებივით ნოყიერო, საგმელივით სურნელოვანო, ახალი ყვავილივით ფოთლო ჩვილო, ბატკანივით ნორჩო, სეფისკვერივით ფუნოფუშავ, ზურგიელივით ქვეყანაში გამოსულო, ნუ დამწვი საგმელივით, ნუ დამადნე სანთელივით. ხუთი მიცვალებული ერთად ვერ გამახარებს, როგორც შენი დანახვა მიხარიან ხოლმე. ჩემო სულის დრამავ, გულის ტიბიკონო, ის დღე როცა შენ ვერა გხედავ—დიდმარხვის ორშაბათია ჩემთვის. ჩემო სიცოცხლის ფესადმუნო და ცხოვრების კანონო, განა ისე დარიბი ვარ რომ არ მიკადრო? ოდონდ შენ შემირთე და წმიდა სიდუმლოს გეფიცები, თუ უფალ ნაკურთხი და უკურთხიდან მესამედი არ წავართვა: მდვდელს—და შენ კი არაფერი მოგაკლო. ახლა ჩვენც აუწიეთ, ქაჯან, ტაქტია—სამსახური კავაძვირეთ: თუ შენი სიცოცხლით ჯამაგირებიც მოგვიმატეს, ეს ჭირიანობაც ცოტა კიდენ გაგძელდა, ნახე მაშინ სულ შანტეკლერების კაბით გატარებ, იდიას ცეცხლის ეტლით გასეირნებ, მარტო ნადებით და ქადებით გამოგკვებავ. ისე გაგასუქო, რომ ჩვენი ფოფოდია ხომ მსხვილია—ისიც კი შენთან დიდმარხვასვით ჩანდეს გამხდარი.

შენი თვალების ჭირიმე, ადგომის დიტანიასვით რომ ბრწყინავენ. ვენაცვალე დმერთს, რომ შენზე მეტი შრომა მიუდია სანამ ევაზე. შენ ადამის ნეკნიდან კი არა ხარ გაკეთებული—ჩემის გულის წვერიდან შეუქნიხარ იეგავსს. აბა, მეფე დავითს შენ ენახნე, თუ ის შენს შემდეგ კიდენ სამოცს ცოლს-და იოლიებდა! შენი ადგომის კვერცხივით დაბრწყინული ადისფერი დოუები ადამიანში ბერდაბერ ჟრუანტელს იწვევს. შენ რო ეკლესიაში შემოსდიხარ და თვალს მოგკრავ ხოლმე, მთავარი ცნება მეკარგება, ხატები კანკელზე თამაშობას იწყებენ, ასოები წიგნში ადუმადუს გადადიან, თვალთ მიბნელდება და გული ჩვენი ზარივით ირეკება. მინდა მაშინ გამოვიჩინო, სირინოზივით ვიკადრო, ბულბულივით ჩავაშაქრო, რომ შენ გასიამოვნო. ჩემო სულის სამოთხეში წინამძღოლო, ოდონდ შენ მეკანდე ზეცასა და როგორი ცოდვიდიც გინდა ვიყო, ბეტრეს კასადუბს ხელიდან წავგლეჯ და შეუუკანელს არ გაგიშვებ სამოთხეში. შენთვის, შენთვის, ქაჯან, ჯოჯოხეთში მნათობას, სტორიოობას ვიკისრებ. ახ, თუ მადირსებ, ვენაცვალე, და ერთი წერიდის დირს მეოთ ისიც ცოტა საიმედოს—ოხ, ნეტა რა წუთები იქნება ისინი ჩემთვის. მე ხომ ვერ შეგსძლებ გულგრილათ იმის წაკითხვას ნამდვილათ აიაზმის წულით მოსაბრუნებელი კაგხდები. იმედი მაქვს, ჩემო კაბადოკიელო ოტნებავ! ამ ჯვარცმულ გულს და იობისეულს წედულებს გამიმთელებ. ერთს ბატარა ეპისტოლეს მომწერ და სამუდამოთ ჩანელებ ჯოჯოხეთის ცეცხლს, რომელშიაც შენი დანახვის შემდეგ ვიწვი.

გწერს შენგნით ტაბლის ხურჯინივით გამსებული მწუხარებით—შტატნი ბრიჩეტნიკი **ქადაძე**.

„**გენო**“

ჩემი ლალე

I

ლალეს თქმასა მირჩევს გული,
აბა, რა ვსთქვა მიგდე ყური!
ლაალე-ლაალე, თარი-თურა ლაალე.
პროვინციის ქალები,
ლატარიით მთვრალები,
ყოველ ღამ თამაშობენ,
ერთმანეთს ტყავს აძროობენ..
ლაალე-ლაალე, თარი-თურა ლაალე.

II

იქ რომ მთვრალი კაცი ვნახე!
სწორეთ გულით ვივაგლახე:
გულ-ნარევში ჰქონდა ცხვირი,
ზუზუნებდა როგორც სტვირი:
ლაალე-ლაალე, თარი-თურა ლაალე.
ფარულ ღვინოს რა უქნია,
დაბა როგორ დაურყვნია?!
ლაალე-ლაალე, თარი-თურა ლაალე.
ეს იკმარე, დანარჩენსაც მოგახსენებ მალე.

ალი-ძამია

ქართული სახიობა

ხარფუხის საზ. კლუბში შაბათს, 18/XII, ვაჟა-ფშაველას საღამოზე რომ საზოგადოება დაესწრო, განსაკუთრებით საშუალო, არც ერთ კლუბს არ მოსწრებია: რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდაო, დარბაზი ისე იყო ხალხით გაჭიქნული. გული სიამით გევსება, როდესაც ხედავ ერთის მხრით ჩვენი ზოგიერთ კლუბოსანთა კულტურულ მუშაობას, მეორე მხრით

საზოგადოების ასეთი თანაგრძნობის გამოჩენას ეროვნულ გათვითცნობიერების საქმეში. საღამო მეათე საათზე დაიწყო. I განყ.: სადა სცენაზე უკანა კედელთან ხავერდით მობურულ კვარცხლბეკზე ვაჟას მშვენიერი სურათი ეყრდნო მწვანეულის ჩარჩოში, ცოცხალი ვარდებით შემკული; სცენის წინა რიგზე იდგა გძელი, მაუდ-გადაფარებული მაგიდა, რომელსაც გარს ესხდნენ ჩვენი საზოგადო მოღვაწე-მწერლები: ეკ. გაბაშვილისა, ს. მგალობლიშვილი, სტ. ჭრელაშვილი, შ. მღვიმელი, გრ. რობაქიძე, დ. კასრაძე, ტრ. რამიშვილი გ. ქუჩიშვილი. ს. ფაშალიშვილი, ბ. ახოსპირელი და სხ. ფარდის აწევისათანავე სიმებიანმა ორკესტრმა პრესმანის ლოტბარობით შეასრულა შოპენის სამგლოვიარო ჰიმნი, რაიც საზოგადოებამ ფეხზე ადგომით მოისმინა სასოებით; შესავალი სიტყვა წარმოსთქვა გრ. რობაქიძემ, სიტყვა იყო სხარტული, შინაარსიანი, ლამაზი. დ. კასრაძემ წაიკითხა რეფერატი „ვაჟა-ფშაველა და მისი პოეზია“. რეფერატი ფრიად შინაარსიანი გამოდგა. მე-II განყ. წარმოსთქვეს ლექსები გ. ქუჩიშვილმა („ვაჟას ხსოვნას“ და „ვინა სთქვა“), ბ. ახოსპირელმა (ვაჟასივე— „ფშავლის სიმღერა“ და „არწივი“), ს. ფაშალიშვილმა (ვაჟას ხსოვნას და მისი სიმღერა), იოს. ფანცულაიამ (ვაჟას „მოხუცის ნათქვამი“ და „ღარიბის სიმღერა“ ა. ადამიძემ (ვაჟასი—„ქეიფი“, „გოგო ვნახე“ და სხ.) გურულების გუნდმა სამუელ ჩავლეიშვილის ლოტბარობით, ალ. მახარაძის, სამ. ჩხიკვიშვილისა, ვარ. სიმონიშვილისა და სხ. მონაწილეობით გურული სიმღერებით მოაჯადოვა საზოგადოება. საზოგადოების დაბეჯითებითი თხოვნით იმღერეს: „სუფრული“, მ. გურიელისა, „შვიდ-ყაცა“, „პატარა საყვარელო“, „ჰასან ბეგურა“, „ალი-ფაშა“, „მაყრული“ და „ალილო“. III განყ. ყარგი შთაბეჭდილება მოახდინა ცოცხალმა სურათებმა მეფე ერეკლეს „სიზმარმა“ და „გლოვამ“. ამ განყოფილებაში გლეხურად ჩაცმულმა ს. გლახაშვილმა პრესმანის-მიერ საგანგებოდ შეთხზულ მუსიკაზე მოსთქვა თავისივე „ბუნების გლოვა“ („თეატ. და ცხოვ.-“-ს 32 №-ში დაბეჭდილი). საუცხოვო იყო აპოთეოზი—ვაჟა-ფშაველა მთებში. სურათების გეგმა შეადგინა ს. გლახაშვილმა, ტოლო დიდის გემოთი დასდგა რეჟ. ალ. წუწუნავამ და თუ ზოგი რამ ნაკლი ჰქონდა (უმთავრესად შინაარსის განსახიერების მხრით) ალბად ხელ აწყოთა უქონლობით. საღამო დასრულდა ორკესტრის მიერ, პრესმანის ლოტბარობით, შესრულებული სამშობლო -თი. ყველა აღმსრულებელნი საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

ქართველი ქალები ყოჩაღად ჰყიდდენ სხვადასხვა წიგნაკებს, ყვავილებსა და ამ საღამოსთვის საგანგებოდ გამოცემულ ღია ბარათებს ვაჟას სურათით (ზედწარწერით „მეც ვწირავ ერთს აგურს ქართველ მოღვაწეთა აგარაკისათვის“. ამ ბარათებში მანათზე ნაკლები არავის მიუცია. შემოსავალი 800 მან. მეტია. ხარფუხის კლუბის მამასახლისთა საბჭოს დადგენილებით, ამავე აგარაკის ასაშენებელ თანხის გასაძღიერებლად ხორაგეულსა და სასმელებს 10% მიემატა საზოგადოდ, მამასახლისთა საბჭომ საღამოს გამართვაში დიდი უნარი გამოიჩინა: თითოეული მათგანი იმის ზრუნვაში იყო, საღამოს კარგა ჩაევლო და მეტი შემოსავალი ყოფილიყო.

ერთი მამასახლისთაგანი, ალ. სიმ. ლორთქიფანიძე, აგარაკის საღმშენებლო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გადმოგვცეს, ფიქრობს აგარაკის საძირკველი მაისშივე ჩაჰყაროს.

უსურვოთ, ეს აზრი მალე საქმედ ექცივნოთ და მაშინ ქართველი ხალხი უფრო დიდის გულუხვობით გადიხსნის ჯიბეს საერთო საქმის სასარგებლოდ.

უსავანო.

ბაქოს დრამ. წრემ კვირას, 13 II/X, ბ-ნ ი. ზარდალიშვილის რეჟისორობით წარმოადგინა ფეხტერის 5 მ. პიესა „შემკვიდრე პრინცი“, რომელმაც დიდძალი ხალხი მოიზიდა. პიესა დამაზად იყო დადგმული (რავდენადაც შეიძლებოდა სოფლისთა კატო-მოუგ. საზოგ. დარბაზის სცენაზე) და როლებიც შესაფერად იყო განაწილებული. თვით რეჟისორმა კარგ ჭენრიხის როლი ჩინებულად შასრულა. მას მხარს უმშვენებდა ქ-ნი შოთაძე (კეტი). ბ-ნი პავლიაშვილი (დოქტორი) და მატარაძე (ფონ-კაუკ) რიგიანები იყვნენ, ბ-ნი ქარქაშიძე (ტიპიური ლუცი) დაუსრულებლად გვაშინაარულებდა თავისი მოხდენილი თამაშით. ბ-ნი ვეჩე ჯიქია (რიუდერ) და ქ-ნი წულუკიძისა (რიუდერისა) შესაფერ როლებში, დამაკმაყოფილებლად თამაშობდნენ. ს. პავლიაშვილი (ახტერბერგი) და ჭუმბურიძე (კელლერმანი) საერთო ანსამბლს ხელს ეწყობდნენ.

საერთოდ პიესამ დამაკმაყოფილებლად ჩაიარა, უკეთესადაც ჩაივლიდა, ყველას რომ კარგად შეესწავლათ როლები.

დარბაზში უწესრიგობას კი, მიუხედავად წესრიგის დამცველთა შრომისა, მაინც ვერ ავცდით. რას გასდებს ორი-სამი წესრიგის დამცველი, თუ თვითეულ მაყურებელს არა აქვს შეგნებული,—როგორ უნდა ეჭირაოს თავი წარმოდგენის მსვლელობის დროს?

გულისაბა

დ ხაშურში კვირას, 13/XII, ხაშურის ქარ. დრამ. წრემ ადგილობრივ ქალთა საპროფესიონალო სასწავლებლის სასარგებლოდ გამართა საქველმოქმედო საღამო. წარმოადგინეს რუსულად ერთ-მოქმედებიანი ვოდ. და ქართულად დ. მესხის 1 მოქ. ვოდ. „მოფურჩხულია“. პატარა ქალებმა მეტად მოხდენილად წაიკითხეს ჩვენი მგოსნების რჩეული ლექსები; დასდ-

გეს ცოცხალი სურათი (შოთა რუსთველის მიერ „ვეფხის ტყაოსნის“ მირთმევა თამარ დედოფლისადმი). ვოდევილებმა ცოცხლად ჩიარა და ცოცხალი სურათიც—რიგიანად იყო დადგმული. ბოლოს გაიმართა ევროპიული და ჩვენებური ცეკვა. წმინდა შემოსავალი მოხმარდება დ. ხაშურში და მის მახლობლად მცხოვრებ იმ ღარიბ ქალებს, რომელთაც საპროფესიონალო სასწავლებელში შესვლა სურთ, მაგრამ სიღარიბის გამო ვერ მოუხერხებიათ.

განსაკუთრებულის პატივისცემისა და მადლობის ღირსია კნ. ელ. თარხან-მოურავის ასული, რომელმაც საკუთარის ენერგიით დაარსა ხაშურსა და ქართლის სხვა თვალსაჩინო დაბა-სოფლებში პროფესიონალური სასწავლებლები და ახლაც დაუღალავად განაგრძობს მოღვაწეობ.ს.

ხაშურის საზოგადოება საღამოს განსაკუთრებულის თანაგრძნობით შეეგება: თეატრის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი და ადვილობრივმა მანდილოსნებმაც დიდი მხნეობა გამოიჩინეს შემოსავლის განსადიდებლად. ნიკო გურული

ქართულად ოპერა რიგოლეტო (კ. დადაშვილის თარგმანი), რომელიც სახალხო მუს. საზ-ამ სახალხო სახლში ბარასკევს, 18/XII წარმოადგინა, ვერ იყო კამოტემი იმ მხატვრულ-მუსიკალური კონტენტრაციისა, რომელსაც ხმათა შეწყობა, მოქმედება, ენა და მათი ჭარმოზიტია უნდა ჭქონდეს: ზოგიერთს სააზო, მაგრამ სუსტი ხმა ჭქონდა, ზოგი რუსულის კილო-კავებით დაპარაკობდა და ამით დისონანსი შეჭქონდა. ამას მიუმატეთ ისიც, რომ დიბრეტოში ქართულად მარცვალთა ბგერა საგანგებით ვერ არის შეთანხმებით დაცული იმ ჭანგთან, რომელსაც ჯუზეპე ვერდის მუსიკა კამოსცემს—და შემსრულებელთა უხერხული მდგომარეობა ნათლად წარმოგიდგებათ. მაგრამ ფრიად სასიამოვნო მოსასმენი იყო თვით ორკესტრი, რომელსაც ცნობილი ბ. ფალიაშვილი დირიჟორობდა. საერთოდ კი უნდა ვსთქვათ, რომ მოქმედ-მომღერალთა ეოგელი შეცდომაც კი მაჩვენებელი იყო იმ ცდისა და შრომის მოყვარეობისა, რომელთათვისაც დიდი ქება, ბატონიანობა და ეურადღება ეკუთვნით... და ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ ქართული მუსიკალური ხელოვნების სცენაზე განმსახიერებელნი შემდეგში უფრო ძლიერს ნეტარების მოცემ ხმებს გვასმენენ... **მოკეთე**

სახალხო სახლში 20/XII ბ. ს. ქვეთარაძემ წაიკითხა დექტა „ოთანამ. ომის ნამდვილი მიზეზები“. დექტორს ეუმცა ახალი არა უთქვამს რა, მაგრამ დექტა მაინც შინაარსიანი გამოდგა. მოსაბეზრებელი იყო ერთგვარი, დაბალის ხმით კითხვა, თუმცა დექტიის ენა მშვენიერი იყო. სასურველია ხშირად იმართებოდეს დექტიები, უფრო ინეფ ფასებში... ზემოდ აღნიშნულ დექტიას ხალხი ტოტა დაესწრო, ალბად იმისთვის, რომ ტუდი ამინდი იყო და ფასებიც კი

ათ შაურამდე. **ს ხ—ელი**

საბურთალოს თეატრში 17/XII, წარმოადგინეს „ბაიყუში“—კომ. ა. ცაგარლისა. კარგები იყვნენ: ქ-ნი თოიძე და „პრიკაშჩიკი“, არა უშავდათ რა ქ.—მატარაძისას და ბ-ნ მინდიაშვილს. საერთოდ როლების უცოდინრობა ემჩნეოდათ.

სამწუხაროდ განცხადებულს ბევრი გამოაკლეს: არ წაიკითხეს „შეშლილის წერილები“, დივერტისმენტზე არ იყვნენ: პ. ირეთელი და გ. ქუჩიშვილი. ცოცხალის სურათის „დედა და შვილის“ შემდეგ—დივერტისმენტში, გ. ლეონიძემ წაიკითხა ლექსი, ა. სალაყაიამ—იმერული სცენები და სხ.

შალვა მათიკაშვილი

წვრილი ამბები

გალაქტიონ ტაბიძის ლექსების მეორე ტომზე ნაახალწლევს მთელ საქართველოში და რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში დაიწყება ხელის მოწერა. ერთი წლის წინად დაბეჭდილი პირველი ტომის 3,000 თანა მოკლე ხანში სწრაფად გაიყიდა.

კომპ. კ. ფოცხვერაშვილი თბილისს ჩამოვიდა და ამ მოკლე ხანში კონცერტის გამართავს.

ს. გლახაშვილმა საბავშო პიესად გადმოაკეთა „ივანანამ რა ჭქმნა“. ეს პიესა დაიდგმის სახ. სახლში 3 იან. „იაკობ გოგებაშვილის დღეს“. შემოსავალი გადაეცემა ქართ. მოღვაწეთა აგარაკის ამშენებელ კომისიას.

ქართ. კულ. მოყვ. საზოგადოებამ გამოსცა „ღია ბარათი“ ვაჟა-ფშაველას სურათით, აგარაკის ნახატითურთ. შემოსავალი აგარაკის აშენებას მოხმარ.

ქართ. კულტ. საზ ის კრებაზე ახ. კლუბის დარბაზში ორშაბათს, 26/XII, კომ. კ. ფოცხვერაშვილი წაიკითხავს მოხსენებას „ქართველი ერის თანამედროვე სარწმუნოებრივი მდგომარეობა“. დასაწყისი შუ-დღის 12 ს. დასწრება ყველას შეუძლიან.

დუტუ მეგრელმა უკვე დაამთავრა დრამ. პოემა „პრომეთე“ და ქართ. კულტ. მოყვ. სას. გამგეობას გამოუგზავნა. ამ პოემას თვით ავტორი წაიკითხავს საჯარო კრებაზე.

იპ. ვართაგავამ დაამთავრა დიდი კრიტიკული წერილი „სოფელი და სოფლელები სოფ. მგალობლიშვილის ნაწარმოებში“.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის

„სახალ. პო ფურცელი“

გაზეთი. ურათებიან დამატებით ღირს წელიწადში 9 მ 50 კ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 მ 50 კ., თვით 90 კ.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. ხელის მოწერის დროს 3 მ. 50 კ. პირ. ივლის. 2 მ და პირვ. ენკენ, 1 მ. 50 კ. კანტორა ხელ. მოწერ. ღიაა დილის 9 ს. ნაშუად. 3 ს. და საღ. 6—8 ს. წლიური ხელის მომწერნი, რომლებიც 1916 წლის 1 აპრილამდე სრულიად გადაიხდიან წლიურ ფასს, მიიღებენ **პრემიას** ორიგინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ. თხზულების შინაარსი იქნება: დაახლოებით შემდეგი: 1. ომი და მისი მიზეზები; 2. ერი და სახელმწიფო; 3. მუშათა კლასი და სოციალისტური ორგანიზაციები ომის წინად და ომში; 4. ერი და დემოკრატია; 5. რეალური მოსახლეობა საქართველოში და საქ. ტერიტორია; 6. კავკასიის ერები და მათი ურთიერთობა; 7. ომის მიზეზილეა

საპრემიო თხზულების ავტორები: კ. აბაშიძე, ი. გედევანიშვილი, გრ. გეგელსიანი. გ. დასხიშვილი, გ. მაიასშვილი, კ. რცხილაძე, ს. ფირცხალავა, გ. ქოქოძე, თ. დდონტი ს. ჯაჯანაშვილი.

მისამართი: ტფილისი „სახალხო ფურცლის“ ოედაქცია, სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი № 6. ტელეფონი 12—29.

თანამედროვე აზრი

გაზეთი ღირს როგორც თფილისში ისე პროვინციაში მთელი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ. ერთი თვით 90 კ.

გაზეთის ფასიხელის მომწ. წინდაწინ უნდა გადაიხ.

ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: **Тифлисъ, поч. ящ. № 199 Власію Малакіевичу Бохохадзе.**

თფილისის ხელის მომ. ფული უნდა შემოიტანონ კანტორა „**განათლებაში**“ ოლგას ქუჩა № 6 მომავალ წლის მომწერლებს კანტორა უმორჩილენად სთხოვს ფული 20 **დეკემბრამდე** შემოიტანონ.

ზვირთი გაზეთის დანიშნულება: ეროვნულია და ეროვნულ ქართველობას ეკუთვნის. ეროვნული ინტერესები, „ეკონ.-ად“ ეროვნული კეთილი გაბატონების ეროვნული ბრძოლა ეროვნულ ბრძოლა ეროვნულ ბრძოლა ეროვნულ

20-й г. изд. ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1916 годъ. 20-й г. изд.

НА

Театръ и Искусство.

52 номера еженед. иллюстр. журнала, 12 ежем. книгъ Библіотеки, до 40 репертуар. пьесъ. Отдѣлъ „Эстрада", заключающій номера для чтенія со сцены, дивертисментовъ и концертовъ. Въ распоряженіи редакціи имѣются слѣдующія пьесы: С. А. Найденовъ—„Работница", ком въ 4 д.; Л. Урванцовъ „Вѣра Мирцева", пьеса въ 4 д. С. Шиманскій—„Кровь", драма въ 4 д.; Ш. Ашъ—„Польскіе евреи", пьеса въ 4 д.; П. П. Гнѣдичъ—„Уходящіе боги", пьеса 4 д.; Д. Айзманъ" Лѣтній романъ" пьеса въ 4 д.; С. Ауслендеръ—„Хрупкая чаша", пьеса въ 5 д.; А. Вознесенскій—„Актриса Ларина", пьеса въ 5 д. и мн. др.

Въ виду вздорожанія бумаги подписная цѣна увеличена на 1 рубль.

Подписная цѣна на годъ 9 руб.
Разсрочка при подп. 4 р., къ 1 апрѣля—3 р., къ 1 іюня—2 р. За границу 14 руб.

На полгода (съ 1-го января) 5 руб. За границу 8 руб.
На мѣсяцъ безъ приложеній — 65 коп.

Гл. контора: Петроградъ, Вознесенскій пр., д. 4. Телеф. 16—69.

Подпис. цѣна: годъ 7 р.—к ½ г. 3 „ 50 „ 3 м. 1 „ 75 „ 1 м. — „ 60 „ За гран. вдвое Допускается разсрочка.

VIII г. изд. на 1916 годъ VIII г. изд.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на еженедѣльный богато-иллюстрированный журналъ

Подъ редакціей **„РАМПА И ЖИЗНЬ"** Л. Г. Мунштейна (Lolo).

Объявлен. впереди текста 1 строка петита, позади текста 50 коп.

Театръ.—Музыка.—Литература.—Живопись.—Скульптура.

Безплатная премія для годовыхъ подписчиковъ: **галлерея сценическихъ дѣятелей** роскошно-иллюстрированное изданіе

1900—1916 гг. Томъ II-й.

52 большихъ портрета (на обложкѣ) артистовъ, писателей, композиторовъ и художниковъ, болѣе 2000 снимковъ, зарисовокъ, шаржей, каррикатуръ и проч. Собственные корреспонденты во всѣхъ западно-европейскихъ театральныхъ центрахъ. **52**

Годовые подписчики, желающіе получить 1-й томъ „Галлереи", доплачиваютъ 1 р. 75 к.

Адресъ: Москва, Богословскій пер. (уг. Б. Дмитровки), д. 1. Тел. 2-58-25. ▣ Контора открыта ежедневно, кромѣ праздничныхъ дней и субботъ отъ 11—4 часовъ дня. ▣ ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ также въ Москвѣ у Н. И. Печковской и К° (Петровскія Линіи), въ книжн. маг.: „Новое Время" (въ Петрогр., Москвѣ и пров. гор.), въ муз. маг. В. Бессель и К° (Москва, Петровка, 12), М. О. Вольфъ (Москва—Петроградъ,) кн. маг. Л. Идзиковскій (Кіевъ, Крещатикъ) и во всѣхъ книжн. магаз. гор. Москвы и провинціи. МОЖНО ПОДПИСЫВАТЬСЫ ПО ТЕЛ. 2-58-25.

ᲛᲘᲚᲝᲕᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1916 Წ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

Дозволено Военной Цензурой ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲮᲝᲠᲪᲔᲑᲘ"

1. [illegible] №7

2. [illegible] №7

3. [illegible] №8

4. [illegible]: [illegible] №10

5. [illegible] №10